



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### აგლაძე რაფიელ ილიას ძე



აგლაძე რაფიელ

აგლაძე რაფიელ ილიას ძე [16 (29). XII. 1911, თბილისი, – 17. IV. 1989, იქვე], ელექტოქიმიკოსი და ელექტრომეტალურგი. საქართველო. მეცნი. აკად. აკადემიკოსი (1946). ტექ. მეცნი. დოქტორი (1944), პროფესორი (1944), საქართველო. მეცნი. დამს. მოღვაწე (1963). საქართველო. დამს. გამომგონებელი.

დაამთავრა საქართველო. ინდუსტრ. ინ-ტი (1935), მოსკოვის დ. მენდელეევის სახ. ქიმ.-ტექნოლ. ინ-ტის ასპირანტურა (1938). საქართველო. პოლიტექ. ინ-ტის პროფესორი 1944-იდან და ელექტროქიმ. წარმოებათა ტექნოლ. კათედრის გამგე (1944–85). საქართველო. მეცნი. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1947 – 51), საქართველო. მეცნი. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტის დაარსების ინიციატორი და მისი პირველი დირექტორი (1944–51), გამოყენებითი ქიმ. და ელექტროქიმ. (ამჟამად რ. აგლაძის სახ. არაორგ. ქიმ. და ელექტროქიმ.) ინ-ტის დამაარსებელი და დირექტორი (1956– 60), ამავე ინ-ტის ელექტროქიმ. და ელექტრომეტალ. განყ-ბის გამგე (1956-იდან), საქართველო. მეცნი. აკად. სამეცნი. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკის“ გამომცემის ინიციატორი და პირველი რედაქტორი (1949–51). ა-ის ხელმძღვანელობით გესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში დაინერგა ზესუფთა ლითონური მანგანუმის მიღების ელექტროლიზური მეთოდი. ამ სამუშაოსათვის ა-მ სსრკ სახელმწ. პრემია მიიღო (1943). რუსთავის ქიმ. ქ-ნაში მან დაინერგა კალიუმპერმანგანატის მიღების ორიგინ. მეთოდი (სსრკ სახ. მეურნ. მიღწევათა გამოფენაზე დაჯილდოვდა ოქროს მედლით, 1962). პ. მელიქიძევილის სახ. პრემიის ლაურეატი (1977). სსრკ II და III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თბზ.: მანგანუმის ელექტროქიმია, თბ., 1956 - 80; გამოყენებითი ელექტროქიმია, თბ., 1973 (თანაავტ. ნ. ჰოფმანი); იონურ ლღობილთა ელექტრომეტალურგია, თბ., 1983 (თანაავტ. ა. ავალიანი); Прикладная электрохимия, М., 1984 (თანაავტ.).

ლიტ.: რაფიელ აგლაძე (1911 -1989). ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1991.

---